

მთაბან

ფასი 1 კპ.

გაზეთი ღირს: 1 თვით 25 მანეთი, 3 თვით 75 მანეთი, 6 თვით 135 მანეთი. წინასწარ დაკვეთისას ფასი 10% უკლებლად. საბჭოთა კავშირის სტრუქტურის შესახებ — 2 მან. სამგლოვიარო განცხადება 40 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციისა და კანტორის მისამართი: თბილისი, გოლოვინის ქროსკ. № 24.
ტელეფონი 16-62.

საბჭოთა კავშირის სტრუქტურის შესახებ — 2 მან. სამგლოვიარო განცხადება 40 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციისა და კანტორის მისამართი: თბილისი, გოლოვინის ქროსკ. № 24.

ღრმად დამწუხრებული მეზღვე ქეთევანი თეოდორეს ასული, შვილები: გიორგი და კონსტანტინე გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 29 აგვისტოს მკირე ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი
აიიი აკთიბა სიომის კა ვაჟაიკა.
გამოსვენება თავის ბინიდან (ბაქოს ქ. № 12) სამშაბათს, 2 სექტემბერს ნაშუადღევს 1 საათზე წავსვენდება თავის სამშობლოში ს. დიდ-ჯიხაიში. პანაშვიდი 1 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, განსვენებულის ბინაზე. დაკრძალვა 3 სექტემბერს, საღამოს 4 საათზე. (2-1)

თავდაპირველი

ფრონტი—ომის შვილია. ომი სისხლის ღვრის ნიშანია, ადამიანთაგან—ადამიანების ქვება. დემოკრატია ხალხის სიცოცხლის შენარჩუნების სიმბოლოა, ხალხთა მშობის მოციქულია, ერთი კავშირის წინამორბედი. დემოკრატია და ფრონტი!.. დემოკრატია და ომი. ეს ერთი-მეორის საწინააღმდეგო ცნებაა, ერთი-მეორის უარყოფელი მოვლენაა. და ის მაინც ფაქტია, საქართველოს დემოკრატია დღეს ფრონტზე დგას იბრალთ ხელში და წინააღმდეგ მას მუშაობა კლასი საღამოთი ეგებება. რაშია საქმე?
5 წელი ტრიალებდა მსოფლიო ომი, რომელმაც გაანადგურა მთელი ევროპა და რომელსაც ჩვენ, სოციალდემოკრატები, უარყოფით ვუკუქვართ. განა არ ეყო კაცობრობას ამდენი სისხლის ნიადაგი? განა დრო არ არის კულტურულ წინსვლელობას მოხმარდეს ხალხთა ენერჯია და არა ერთმანეთის გაეღვტას? დიხაჯ რომ დროა. მაგრამ კლასობრივი საზოგადოება წინააღმდეგობითაა ქსელია, თუ დემოკრატია ომს ებრძვის, ბურჟუაზიული კლასები მას შეტრფიან. თუ დემოკრატია ომის უარყოფა—ბურჟუაზიის იმპერიალიზმი—მისი მჭიდრებული და მომზაებულია.
ბურჟუაზიის ბატონობა—ეს ომის აუცილებლობის მატარებელია.
ამრიგათ საზოგადოება ორ ძალას ატარებს თავის წიაღში, ომის უარყოფელს და ომის შემქმნელს.
და სანამ ეს უკანასკნელი ძალა ბოგინობს ქვეყნათ, ომის საშიშროება მუდამ იქნება. სანამ ომს იმპერიალისტური ზრახვები ასაზრდოვებს—იარაღის ჩხარუნია არ შეწყდება.
რევოლიუციური ხანა ამ ტენდენციებს მხოლოდ ამწვავებს და ნათლათ ააშკარავებს. და დღეს მეტის სიციხადით მოსჩანს ის, რაც ჩვეულებრივ დროს უჩინარია, მაღალ ფრახებით, კულტურის უმაღლეს ღირებულებათა სახელით დაფარულია.
მხოლოდ დემოკრატის საყოველთაო განმარტებას მოჰყვება ომიანობის სრული გაქცევა. ნამდვილი ხალხთა ლიგა, რომელზედაც კილსონი ოცნებობდა, მხოლოდ დემოკრატის სამეფოში განხორციელდება.
ხოლო, სანამ დემოკრატის გარს იმპერიალისტური ქვეყნები ახვევია—მას იარაღის ჭაყრა არ შეუძლია. იარაღის უარყოფა ასეთ პირობებში ტოლსტოიზმის განხორციელება იქნებოდა და თავის თავის სხვის იოლ ლუქით გადაქცევა, კაპიტალიზმის პირველი მგელი კერძათ გახდომა. იარაღით კრიტიკა ამიტომ აუცილებელი ხდება დემოკრატისთვისაც იქ, სადაც ის ტლანქ ძალას შეეხერხება. განა რაიმე საშუალებით შეიძლება მგალითა დენიკინის შავ ძალთა დაოკება—გარდა მჭრელი ხმლისა და მძიმე არტილერიისა?
ცხადია, დემოკრატისთვის ამ იდეალისთვის, რომელიც ომის გაუქმებას შეიცავს, ჯერ კიდევ ბრძოლაა საჭირო. ჯერ კიდევ დიდხანს დაგვირდება ომი—ომის წინააღმდეგ და ჩვენი ფრონტიც სწორეთ ამ იდეას ემსახურება.
იგი არავის იპყრობს, არავის სპობს, არავის იმორჩილებს. იგი მხოლოდ დემოკრატის იდეებს იცავს აქ. და მისი გაბატონების სურვილით არის გამსჭვალული მეზობელთაღმი. ამიტომ ჩვენი ფრონტი მხოლოდ თავდაცვი თია. იგი იცავს საქართველოს დემოკრატულ

წყობილებას, იგი იცავს საერთო დემოკრატის იდეას, დემოკრატის პრინციპებს. დემოკრატია კი უარყოფა ბტრობის, მაშასადამე იმპერიალისტური ომით მისი ომი ვერ გადაიქცევა.
შეუტევს დემოკრატის ჯარი მტერს, თუ მოიგერიებს—ორივე შემთხვევაში ბუნება მისი მოქმედებისა უცვლელია: იგი ანტი-მილიტარისტულია. იგი ომიანობის წყაროს უპირებს ამოწურვას, იგია ამ ომის მიზეზების და საფუძვლის წინააღმდეგ.
ასეთია დემოკრატული ქვეყნის შეიარაღებული ძალის აზრი და მნიშვნელობა. და ამიტომ დემოკრატის უყვარს რესპუბლიკანური ჯარი და გვარდია, რომელიც ხალხის ფარი და ხმალია. ამიტომ გაქრა ის აზრთა რყევა და სხვადასხვაობა, რომელსაც ბურჟუაზიულ ომის დროს განიცდიდა მუშათა კლასი.
მსოფლიო ომის დროს იყვენ ჩვენში თავდაცვის მომხრენი, იყვენ ომის წინააღმდეგნი, იყვენ რუსეთის ჯარის დამარცხების მოსურნენი და სხვა. დღეს ყველა ეს გაქრა, გაიფანტა და მუშათა კლასი ერთი აზრით არის გამსჭვალული: დღეს ყველა თავდაცვის მომხრეა, რადგან ამ თავდაცვით კეთდება საქმე არა ძველი ბატონების, არამედ ხალხის, დემოკრატის, მუშათა კლასის მომავლის, რევოლიუციის ბედ-იბღლის.
ჩვენი ფრონტი—თავისუფლების დარაჯია, რევოლიუციის ყარაულია. იგი თვით ნაწილია რევოლიუციის, მატარებელია რევოლიუციური ბრძოლის. და ჩვენ გვიყვარს ეს ფრონტი ისე, როგორც გვიყვარს თავისუფლება და რევოლიუცია.
გუშინდელ დღეს ეს აზრი აშუქებდა და ამით იყო იგი ძლიერი, მიმზიდველი, მტერთათ თავისი დამცემი, მოყვარეთა გამხარებელი.

პრესა

დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნებში დაშვებული სსტკიკი და მარცხდა. საერთოდ დამარცხდა დაშვებული, როგორც ახალციხე ახალქალაქის, ისე ბორჩალოს მაზრებში.
არჩევნებმა აშკარად დაამტკიცეს, რომ ამ დღეების სომხობა არჩევს საქართველოს ფარგლებში დარჩენას. ეს კი, ბოლოს უღებს დაშვებული განმარტობას, რომელიც ამ მაზრებს სომხეთისაკენ მიეზიდება.
ამიტომაც, რომ ახლა დაშვებული გაიძახის—სომხობას კი არ შეუბრუნებია ჩვენთვის ზღაგე, ის ჩვენ ძალთა, თვითნებობით მოგვლიჯა საქართველოს მთავრობის რეპრესიებმა, მუქარამო და სხ.
„შახტავორი“ (№ 178) ასე უცქერის არჩევნების შედეგს:
„დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნები დამარცხდა. ახალქალაქის და ახალციხის ოლქში მთელმა საზოგადოებებმა ხმა მისცეს და თავიანთი ნდობა გამოუცხადეს სომხურ რევოლიუციონურ პარტია „დაშვებულს“ და თუ ცენტრალურ სარჩევნო კომისიის მიერ გამოცხადებული ოფიციალური რიცხვები შედარებით ცოტაა, ეს აიხსნება იმით, რომ ხმები ათასობით „სადავით“ უცვლიათ. თუ რომელიმე სოფლის ხმების 90 პროცენტი მიცემულია დაშვებულის პარტიისთვის, ეს მიანიშნავს სიყალბეთ და ამიტომ არ სურთ ეს ხმები

კანონიერათ იცნან. მენშევიკ-ნობრეველის ასეთი ლოლიკა ვასაგები იქნება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ინსტრუქციებს, რომლებიც წინათვე მიცემული იყო ადგილობრივ კომისიებისთვის... ყველა კომისიისთვის მთავრობის პირველ (1) ნომრის გამოჯგუბა საპატიო საქმედ იყო გამხდარი.
„გამარჯვებისთვის კარგათ გამოიყენეს გადასახლების და დაპატიმრების მუქარა, ცემა და ქრთამი, უფასოდ ფეკილს და შაქრის დაპირება. ყოველგვარი ზომები იყო მიღებული დაშვებულის ხმების წასართმევით. „ნაჩალსტოვ“ უკმაყოფილოა დაშვებულის და ამ უკმაყოფილობას, როგორც სიანს, უკვე მოუტანია სასურველი შედეგები. გადაუწყვეტიათ „ქაჯაზე მოიყვანონ“ ის სოფლები, რომლებსაც „მუხანათობა“ გაუწყვეტიათ საქართველოსთვის და ხმა მიუციათ № 4. თუ როგორ მოჰყავთ ქაჯაზე დემოკრატულ საქართველოში“ საწყალი სოფლები,—ეს ყველამ იცის!
„მაგრამ ჩვენ მივაქცევთ მთავრობის ყურადღებას შემოხსენებული ადგილების სამაზრო და სასოფლო კომისარების უზომო „ენერჯიულ“ მოღვაწეობაზე, ისეთ მოღვაწეობაზე, რომელიც იწვევს უკმაყოფილებას ხალხის ფართო მასებში, ფართო ასპარეზს უხსნის ყოველგვარ თვითნებობას და მექრთამეობას. თავისუფალ ქვეყანაში პოლიტიკური რწმენისათვის მთელი საზოგადოებების დასჯა არ შეიძლება და სახელმწიფოებრივი აპარატის პარტიულ სტრუქტურის გაბრუნება საკუთრის არ არის.
„ამიტომ ჩვენ გვგონია, რომ მთავრობის აგენტებს დროზე ლაგამი უნდა შედოს.“
რომელ მთავრობას მიმართავს დაშვებული? სწერს გაზეთი მენშევიკების თვითნებობაზე და მიმართავს მენშევიკურ მთავრობას!
განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც დაშვებული უნდა იქნებოდა? ნოე ეორდანიას ენვერ-ფაშას უწოდებდა?
როგორ მოხდა, რომ ახლა გაზეთი ამ ენვერ-ფაშას მთავრობას“ მიმართავს და სთხოვს მას დაიცვას სომხური სოფლები ადმინისტრაციის თვითნებობისაგან...
ბევრ ასეთ „მიმართვებს“ მოვისმინეთ დაშვებული უნდა იქნებოდა, რომ რაიმე ნაირად მიფუჩებულ იქნას ამ პარტიის სასტიკი დამარცხება დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნებში...
მონარქიზმის ეპოლიუსია საზრანავითი.
25 ივლისის „ჰუმანიტე“-ში დაბეჭდილია ამედე დიუნუას შემდეგი წერილი: „არაფერი არ სჭირდება ისეთ ყურადღებას, როგორც ევოლიუცია, რომელიც მოსჩანს, უკეთესად სიჭიკით ვითარდება, რადგანაც ის დიდი ხანია დაწყებულია—აკციონ ფრანსუ“ (ის *) ელქმდგანელებში. წავიდა დრო ფორმულებისა, რომლებიც შეურიგებლობით იყვენ გამსჭვალულნი, როდესაც ნაციონალიზმი სცილობდა გონების სუსტ და გულით უკმაყოფილო ხალხისთვის მოეხვია თავს დოქტრინა, რომელიც იყო ექსტრაქტი დახვეწებულ სოფიზმებისა. ომმა გაიარა ამ ფორმულებსა და პოზიციებსზე და აიძულა ისინი მოქნილ ვარჯიშობისათვის, რომლის გამინობით მათ უნდა დაჰკარგოდათ თავისი დოგმატიური უძრავობა. მან, როგორც რანკი ამბობდა, ჩამოაყალიბა „დაუმარცხებელ რეჟიმების მომხრეთ თვალებიდან ლივრი, რომელიც მათ, ნამდვილად თუ განძრახ, ჰქონდათ გადაქრული. ყველაღამ დამთავრდა ავტორიტარული მონარქიების დაცემა. ომმა გამოაჩინა ხალხის მართველობის პრინციპები და გზა გაუხსნა მსოფლიო დემოკრატის განუსაზღვრელ იმედებს.
*) საფრანგეთის მონარქისტების ორგანო, რომელსაც დოდე ხელმძღვანელობს.

მხოლოდ რამოდენიმე წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც პოლ ბურჟემ სთქვა. რომ არის ოთხი შეურყვეველი დედაბოძი ძველი საზოგადოებისა. ლორდათა პალატა, გერმანიის სამხედრო შტაბი, რომის კურია და... საფრანგეთის აკადემიაო.
ლორდათა პალატა ომს ვერც კი მოესწრო, რომ სამუდამოდ დაჰკარგოდა თავის უკანასკნელი პრეროგატივები; გერმანიის სამხედრო შტაბი ეხლა წარმოადგენს ძველი რკინისა და ნაცრის გროვას; არასოდეს არ ყოფილა რომის კურია ამაზე მეტად სახელ გატეხილი; რაც შეეხება აკადემიას, ის ჩამოქვეითდა, დაეცა იმ თავშესაფარამდე, სადაც სოფლიო წარმოადგენს სამხედრო გენიას, ანრი ბოლო—ლიტერატურას, კლემანსო კი წესრიგის ზომიერებისა და გონიერების იდეას.
მორასი საქმოდ ჰკვიანია, დოდეც ნაკლებადაა გამსჭვალული დონკიხოტობით, რომ განაგრძონ დაცვა დასაღუპად განმზღებულ იდეის და საქმისა. ჯერ ომის დროსვე მათ დაანახვეს საზოგადოებას, რომ თავი დაანებებენ პრინციპიალურ ოპოზიციას და ხდებიან ერთგული დამცველი მთავარი შტაბის და მთავრობისა, გამარჯვების ამ პატენტიან ხელოსნებისა. ნამდვილად კი ისინი ტხარედ იბრძოდნენ ყველას წინააღმდეგ, ვინც მათ თავის პარტიულ მისწრაფებათა მოწინააღმდეგედ მოეგვიწებოდათ. შემდეგ, დიდის ხმაურობით იცავდნენ რა კლემანსოს, ისინი მხოლოდ აგრძელებდნენ ყალბი დაუინტერესებლობის პოლიტიკას, რომლის ნაყოფის მომკასაც ისინი ბოლოს და ბოლოს ვარაუდობდნენ.
„მაგრამ ვაუ თანდათან დამოკრებს ნიადვი ანტიკონსტიტუციონურ ოპოზიციისა და გახდენ ყველაზე აქტიური აგენტები პოლიტიკური კონსერვატიზმის და სოციალური დაცვისა, დროებითი ზავის ჩამოგდების დიდ მათ იღეს როლი სოციალურა წესრიგების გმირებისა, რომელსაც საფრთხე მოელოდა ინტერნაციონალური ბალშევიზმისაგან. ეხლა ისინი თავის წიაღში იწვევენ ყველა თავის პრივილეგიებს, რომლებიც რეგვიწებია და ყველა მონოპოლიტებს, რომელთაც რაიმე საფრთხე მოელოთ.
საყურადღებო ცვლილება მოხდა მორასში, რომელიც თავის პოლიტიკურ ჰემსმარტებთან, როდესაც ის მიმართავდა ბურჟუაზიულ რესპუბლიკანულს, რომ მისი „დავეწყებინათ ან უარყოფთ რესპუბლიკა“, ეხლა ჩამოიღის ძირს და ეფუნება მათ, რომ არ უნდა ეშინოდეთ მისი მონარქიზმის. ოდეს-ღაც ის გულგრილია უცქეროდა საირჩევნო კამპანიებს, მწარედ დასცილდა იმ ჩოილისტებს, რომელთა თბილი რწმენა ეძებდა ილიუზორულ ვასამაგრებელ საშუალებებს საყოველთაო საარჩევნო უფლებაში; ის იყო ნტრ-დემოკრატი და ანტი-პარლამენტარისტა. დღეს კი ის იმუშავეს პროგრამა-მინიმუმს, სადაც ვერ ნახავთ როიალისტურ დოქტრინის ნატამალსაც კი. ხვალ ის მოწოდებით მიმართავს როიალისტ ამომრჩევლებს—რადგან ვასაგები იქნებოდა—და აგრეთვე სხვებს, რომლებსთვისაც ამიერიდან პოლიტიკა გამოიხატება ავტორიტარული გამეორებაში სიტყვებისას: სოციალური დაცვა, დაცვა მმარაველ კლასებისა.
საქიროა, რომ ეს გარემოება გამოაკვეთს იქნეს, რომ სოციალისტურმა პროლეტარიატმა, ის ბრძოლაში გამოვა, იცოდეს მოწინააღმდეგეთა ყველა მოძრაობანი. პარტია კონტრ-რევოლიუციისა და ანტისოციალიზმისა, დიდი ბურჟუაზიული კაპიტალისტური პარტია, ეხლა აშკარად სცილობს შექმნას ერთიანი ფრონტი ერთიანი საბრძოლოთ, საქიროა კლასის ამ პარტიას დაუპირდაპირდეს მეორე პარტია კლასისა, საქმოდ შევაჭირებულნი და ძლიერი იმისათვის, რომ მიიმხროს თავისკენ დემოკრატის და სოციალიზმის ყველა სალი ელემენტები. „აღმუქება თუ არა ეს საქმე ჩვენ განკარგულებაში მყოფ შესაძლებლობათ?“

ლეს

ჩრდილოეთის ფრონტზე ბალშევიკების ცნობით მტერი კრეისერებიდან ყუმბარებს უშენს ქალაქ ონგვას.

დასავლეთის ფრონტზე ჰსკოვის მიმართულებით და სამხრეთის ფრონტზე უბტ-მედ-ველიცის და ცარიცინის მიმართულებით საბჭოთა ჯარი წინ მიიწევს.

ბულგარეთში არჩევნებში სოციალისტებმა გაიმარჯვეს. სამხედრო პარტია დამარცხდა.

ბალშევიკების ცნობით კოლჩაკმა ომსკი უკვე დახტა და მთავარი ბანაკი ნოვონიკოლაეფსკში გადაიტანა.

ლესები

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო უწყების განცხადებით

31 აგვისტო.

საზღვრის დაცვის ცნობები

მოსკოვი. აგვისტოს 30. სამხედრო ცნობა. აგვ. 30. ჩრდილოეთის ფრონტი. მოწინააღმდეგის 2 კრეისერი ქ. ონგვას მიძივ ზარბზნებს უშენს. დასავლეთის ფრონტი. ლუგის რაიონში ჩვენმა ჯარმა ბრძოლით სამოს ტბასთან მიადწია (ეს ტბა ლუგის ჩრდილოეთ დასავლეთითაა 60 ვერსის მანძილზე) და ხელში ჩაიგდო 6 ტყვიისმფრქვეველი. ჰსკოვის რაიონში ვარშაიის რკინის გზაზე ჩვენმა ჯარმა სადგური ნოვოსელიე დაიჭირა. ჰსკოვის ჩრდილოეთით 14 ვერსზე ჩვენმა ჯარმა სოფელი დაიჭირა. ქ. დვინსკის დასავლეთით და სამხრეთ დასავლეთით 10 ვერსის მანძილზე ბრძოლა. პლოცკის დასავლეთით 25 ვერსზე ჩვენმა ჯარმა პოზიცია დაიჭირა. სამხრეთის ფრონტი. სუჯის მიმართ. ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს. ობოიანისკენ და მის აღმოსავლეთით ჩვენი შეტევა გრძელდება. ოსკოლო ბელგოროდის მიმართულებით ჩვენი ჯარი მდ. ოსკოლზე მედვარად იბრძვის. კოლაჩის მიმართულებით ჩვენი ჯარი წინ მიიწევს. კალაჩს 25 ვერსზე ვაძლიდა. ნოვო-სოპერსკ-პავლოვის რკინის გზის სამხრეთით ბრძოლა. უსტმედველიცის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ბრძოლით სადგურები დანილოვსკაია და ბერეზოვსკაია დაიჭირა და რაზდორსკაისკენ უტევა. დამატებითი ცნობებით, 29 აგვ. ბრძოლის დროს ჩვენ გენ. სუტულოვის დივიზია დაეპარტებო. ტყვედ წამოვიყვანეთ მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშუთმეტე პოლკები მთლიანად დივიზიის უფროსით და შტაბით. ტყვეების საერთო რიცხვი 30,000 აღწევს. ცარიცინის მიმართულებით ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს. კამიშინის სამხრეთ დასავლეთით 60 ვერსზე მოახდარ ბრძოლის დროს ჩვენ 350 ტყვე წამოვიყვანეთ, ხელში ჩავიგდეთ 9 ტყვიისმფრქვეველი და ორმოცდა ათი თოფი. აღმოსავლეთის ფრონტი. დამატებითი ცნობებით მიხედვით, ტარვის მიმართ. ჩვენმა ჯარმა ელტონის ტბის დასავლეთით 25 ვერსტოს ვიტკურის უკან დაბრუნების დროს წამოიყვანა ტყვედ მტრის ბატალიონი. ხელში ჩავიგდეთ 2 ტყვიისმფრქვეველი, თოფის ტყვეები და სხვა სამხედრო ქონება. ყაზანის მიმართ. ჩვენმა ჯარმა ბრძოლით დაიჭირა ბაშაჩოვსკაია, რომელიც ასტრახანის სამხრეთ დასავლეთით 85 ვერსზეა. ურალსკის რაიონში ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა, ურალსკის სამხ. დასავ. 50 ვერს. მანძილზე გადავიდა და სოფლები დაიჭირა. ორენბურგის რაიონში ჩვენი ჯარი მდ. ილევი გადავიდა და ილევი გოროდოკის სამხ. 20-40 ვერს. სოფლები დაიჭირა. კურგანის აღმოსავლეთით 120 ვერს. ობუხოვსკაიას მივადწიეთ. იალუტოროვის სამხრ. 150 ვერს. ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა უსტლამენსკაია დაიჭირა. ტობოლის სამხრ.-დასავლეთით 50 ვერსზე ჩვენმა ჯარმა ბაივალოვო დაიჭირა.

მოსკოვი. № არმიის შტაბი აგვ. 28. შანხაიდან მოსული ცნობით. იქ იაპონელების წინააღმდეგ მოძრაობა იზრდება. იაპონიის საქონლის ბანკებმა ვაჭრობა შეაჩერა. დაიხურა მალაიები, ნავთსადგურებში მოძრაობა შეჩერებულია იაპონური პრესა ამ მოძრაობას ბალშევიკურს უახლოვებს. მთავრობა ვერაფერს აწყობს. ბრაიმ რამდენიმე იაპონელი ავიაციის დასკრა. მოვიდა იაპონიის 3 კრეისერი. №-ის არმიის შტაბი. აგვ. 28. ზაბაიკალიდან ჩამოსული სიტყვით, 8 აგვ. სად. ბარაბინსკაიას რაიონში სამხედრო მატარებელი დაიხსნა. თეთრების 400 კაცი მოკვდა. ბალშევიკების მთავარ ძალებს შორეულ აღმოსავლეთში უყრან თავს. წითლებმა რამდენიმე მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირეს. აქ ფრონტს 700 ვერსის მანძილი უჭირავს. ჩინეთის საზღვარზე კი—200 ვერსის მანძილი. აქ წითლებმა ქ. აქმა დაიჭირეს.

ნაუენი. აგვ. 29. გერმანული პრესის ცნობით, საფრანგეთი თანახმაა გერმანიისაგან ქვა-ნახშირის მოთხოვნა 40 მილიონიდან 20 მილიონი ტონამდე შეამციროს. ნაუენი. აგვ. 29. ბულგარეთში არჩევნებში სოციალისტებმა გაიმარჯვეს. არჩეული სამხედრო პარტია ისე დამარცხდა, რომ ეს დამარცხება მის სოფლ განადგურებას ნიშნავს. ინგლისური ცნობებით ზომიერ სოციალისტების მანდატები 58 დან 124-მდე აღწეა. კომუნისტების მანდატებმა კი 5-დან 47-მდე აიწია. სამხედრო პარტია მხოლოდ ერთი ადგილი შეინარჩუნა. ნაუენი. 30 აგვისტო. ბელა-კუნნი და სხვა სახალხო კომისარი—კომუნისტები, რომლებიც აქამდე გადემილვია იყვნენ დაკავებულნი, ეხლა გადმოიყვანეს კარლშტეინში, სადაც თავის ოჯახებთან ერთად იცხოვრებენ. ჰელსინგფორსი. 7 აგვ. მიუხედავად მთავრობისაგან მიღებულ ყოველგვარი ზომებისა, კოტკაში ნათვ ადგილის მუშებმა ვაფიცვა გრძელდება. ვაფიცულ მუშების კრებმა გადაწყვიტა თავის მოთხოვნებზე არ დაუთმონ. №-ის არმიის შტაბი. ქ. ომსკის ცელიან და კოლჩაკის ბანაკი ნოვონიკოლაეფსკში გადავიდა. მსკოვი. 30 აგვ. აშხ. ლენინმა შემდეგი დეკრეტი მიიღო: „მეორე განთავისუფლებული ჰსკოვი საბჭოთა მთავრობასთან შეერთებას დღესასწაულობს“.

მოსკოვის მახრის გლეხობა აღფრთოვანებით ეგებება წითელ ჯარს. თეთრი ესტონიის ჯარისკაცები პირდაპირ უარს აცხადებენ იბრძოლონ საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე. როძიანსკის და ბალახოვიჩის თეთრგვარდიელები ვარბიან. მათ მიერ ჯარში გაწვეული გლეხები ჩვენ მხარეზე გადავიდნენ. მთელი მშრომელი ხალხის სხელით, ჰსკოვის რევოლუციონური კომიტეტი მსურავლედ მიესალმება მუშათა და გლეხთა მთავრობის ბელადებს. აპირებენ წითელი ჰსკოვი მტკიცე კედელთა აღმართება მოკავშირე მთავრობათა ხელმძღვანელობით შემოსულ კონტრევოლუციონერების წინააღმდეგ.

ინფანტრიაში პრემიის ცნობები. გენ. ბოტა მოულოდნელად გარდაიცვალა ინფლუენციისაგან. საფრანგეთის პალატაში მნიშვნელოვანი კამათი გაიმართა საზავო ხელშეკრულების გავლით. ლაპარაკს სუფილი ჯერ-ჯერობით 35 ორატორმა განაცხადა, მაგრამ, უმჯობესაა, ეს რიცხვი გაიზარდებ. ფიქრობენ, რომ არისტოკრატული ბრძანები აპირებს ტრიბუნად ცნობები გაიოპქეყნოს სალონიკის სექსუელიცის შესახებ. პალატა მოისმენს საზავო კონფერენციის რამდენიმე კომისიის მომხსენებელს. პირველად ილაპარაკებს ლუი დიგუა ჟინანსიურ საკითხებზე. შემდეგ ილაპარაკებენ ყოფილი პრემიერ-მინისტრები რენე ვივიანი და ლუი ბარტუ ორივეს სიტყვას დიდი მნიშვნელობა ექნება. რენე ვივიანი შეაქებს საზავო ხელშეკრულებას, რომელიც საკმარისად დაკმაყოფილებს საფრანგეთს, და შემდეგ ბევრს ილაპარაკებს მოსალოდნელ კონფერენციების შესახებ. უკანასკნელ სიტყვას იტყვის კლემანსო, როგორც თავმჯდომარე. კამათს რამდენიმე სხდომა მოჰყვება. ჯერ დანამდვილებით არ იციან რამდენ ხანს გასტანს კამათი, მაგრამ მთავრობის და პარლამენტის წრეებში ფიქრობენ, რომ დეკლარატა პალატა ამ კვირის დამლევს დადასტურებს საზავო ხელშეკრულებას. სექტემბრის 6 საზავო ხელშეკრულებისთვის ხმის მიცემის შემდეგ პალატას წინააღმდეგ მისიციმენ გადასწყვიტოს 1919 წ. ივნისის 28 ერთის მხრით საფრანგეთსა და შეერთებულ შტატების და მეორეს მხრით საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის შორის ვერსალში დადებულ ხელშეკრულებათა და დადასტურების საკითხი. ამ ხელშეკრულების ძალით შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი საფრანგეთს უნდა დაეხმარნენ, თუ გერმანია უსაბუთოდ თავს დაესხა მას.

საფრანგეთში შესდგა ეგრედ წოდებული „დიდი ომის დროს საფრანგეთის სამხატურ ში მყოფ უცხოელ მოხალისეთა ფედერაცია“, რომლის მიზანია უკვდავ ჰყოს იმ მოხალისეთა ხსოვნა, რომლებიც ბრძოლის ველზე თავი დასდევს და დაიცვენ კოცხლად დარჩენილ მოხალისეთა ქონებრივი და ზნეობრივი ინტერესები. ყოფილა სულ 42,000 უცხოელი მოხალისე: აქედან მოკლულია 11,000 კაცი და დაჭრილია 20,000.

სახალხო გვარდიის პრილობა

(ყველა საოლქო და სარაიონო შტაბებს, საველე შტაბს და სახალხო გვარდიის მუდმივი ნაწილების უფროსებს). სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა დაადგინა მიმდინარე წლის 14 სექტემბრის ქ. თფილისში მოიწყვიოს სახალხო გვარდიის ყრილობა, რისთვისაც უნდა მოეწყოს წარ-

მომადგენელთა (რწმუნებულთა) არჩევნები შემდეგ საფუძვლებზე:

- 1) ყრილობაზე წარმომადგენელთა არჩევნების ორგანიზაცია დაევალოს საოლქო შტაბებს, იმ რაიონებში კი, რომლებიც პირდაპირ ემორჩილებიან მთავარ შტაბს—სარაიონო შტაბებს. გვარის ფრონტზე არჩევნების ორგანიზაცია დაევალოს საველე შტაბს.
 - 2) წარმომადგენლობის ნორმა ასეთია: 1 დელეგატი ირჩევს 150 კაცი, რომელნიც რაიონში ითვლება. რაიონები, რომლებიც ჰყავთ 150 ზე ნაკლები, მაგრამ არა უმცირეს 100-სა, ჰყავნიან 1 დელეგატს. რაიონები, სადა 100 კაცზე ნაკლებია, ერთდებიან.
 - 3) საოლქო შტაბები ხელმძღვანელობენ არჩევნებს, ახდენენ რა მათ რაიონული შტაბების საშუალებით.
 - 4) არჩევნები ხდება თვითმფლ რაიონის გვარდიელთა საერთო კრებებზე: თუ რაიონი იმდენად დიდია, რომ საერთო კრების მოწყობა საძნელაა, სარაიონო შტაბის განკარგულებით იყავა უზნებლად.
 - 5) თითოეულ შტაბში არჩევნები ხდება შემდგობისდაგვარად ერთ და იმავე დღეს, რომელსაც ინიშნავს საოლქო შტაბი.
 - 6) სახალხო გვარდიელები, რომლებიც ფრონტზე არიან, დელეგატთა რიცხვის გამო ანგარიშების დროს, გამოკლებულ უნდა იქნენ რაიონის სახალხო გვარდიელთა საერთო რიცხვიდან.
 - 7) კლერის სახალხო გვარდიელები შტაბებთან ირჩევენ დელეგატებს რეზერვის სახალხო გვარდიელებთან ერთად.
 - 8) ფრონტზე არჩევნები ხდება 1 დელეგატზე 150 სახალხო გვარდიელის ანგარიშით, რომლებიც ეზერვიდან არიან გაწვეულნი.
 - 9) მუდმივი ნაწილები არჩევენ დელეგატებს საერთო კრებებზე შემდეგი წესით: საგანგებო ბატალიონი და ცხენოსანი დივიზიონი 3 დელეგატს, თვითმფლ ბატარეა თითო დელეგატს, შარბის ტყვიისმფრქვეველთა კომანდა 1 დელეგატს, მოტოციკლეტ საველთაბრილო რაზმი 1 დელეგატს და ჯავშნის ნის რკინის გზის რაზმი 1 დელეგატს.
 - 10) შტაბების წევრები და უფროსების შემადგენლობა არჩევნებში მონაწილეობას იღებს სახალხო გვარდიელებთან ერთად. 11) არჩევნები უნდა დამთავრდეს ისეთი ვარაუდით, რომ დელეგატებს შეეძლოთ თფილისში ჩამოსვლა 13 სექტემბრის.
- დღის წესრიგს დამატებით შეგატყობინებთ. ხელს აწერს: სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარე **ჯუღელი**.
- მიღიანი **აუშტროვი**.
- ყრილობის დღის წესრიგი.**
- 1) თანამედროვე მომენტი და სახალხო გვარდიის მიზნები. მოხსენება ნ. ქორდანიისა.
 - 2) საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა. მოხსენება ე. ვეკუქორისა.
 - 3) მთავარი შტაბის მოხსენება.
 - 4) განხილვა ძირითადი კანონისა სახალხო გვარდიის შესახებ.
 - 5) სახალხო გვარდიის შტატის და ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა.
 - 6) განხილვა ინსტრუქციებისა და დებულებათა თანამდებობის პირთა შესახებ და სამსახური სახალხო გვარდიისში.
 - 7) არჩევნები მთავარი შტაბისა.
 - 8) მიმდინარე კითხვები.

ახალი აგებები

გერმანიიდან ჩამოსული ქართველი სამხედრო ტყვეების წარმომადგენელი აშხ. შიო ქორიძე და ერასტი კაჭარავა გუშინ ჩვენს რედაქციის ესტუმრნენ. ბევრი საინტერესო ცნობები გადმოგვცეს მათ საერთოდ გერმანიის ცხოვრებდან და კერძოდ ქართველი სამხედრო ტყვეების მდგომარეობის შესახებ. სხვათა შორის, მათ გადმოგვცეს 259 გერმანული მარკა (ჩვენებურ დედაბლოვებით 1000 მანეთზე მეტი) „ფრონტის პროლეტარული დღის“ სასარგებლოდ. ეს ფული გადაიჩინა ქალაქ ზაგანში მყოფ ქართველ ტყვეთა დამხმარე კასიდან. ამასთანავე გადმოგვცეს ქალაქ ზაგანში ქართველ ტყვეების მიერ, გერმანიაში მომხდარი რევოლუციის დროს, შექმნილი წითელი რევოლუციონური დროშა ქართველი წარწერით: „გუშინაგის თავისუფლებას, მშობას, თანასწორობას, გუშინაგის ინტერნაციონალს. ქართველი ტყვეები“. ამხანაგების გადმოცემით გერმანიაში ამ ეხმად დარჩენილია რამდენიმე ასეული კაცი ქართველი ტყვეებისა. სხვათა შორის, აშხ. შ. ქორიძემ და ვ. კაჭარავამ აღგვითქვეს მოგაწოდონ საგზეოდ ზოგიერთი საყურადღებო ცნობები, როგორც საერთოდ გერმანიის მდგომარეობის, ისე ქართველი ტყვეების ცხოვრებიდან.

ბერლინში მყოფი ქართველი სტუდენ-

ტობა გამოსთქვამს თავის ღრმა მწყობრებს მხნე და საქართველოსთვის ძვირფას მუშაკთა ი. ოცხელის და პროფ. ყაფიანის დაპირებით გამო.

ფინანსთა და ვაჭრობის მინისტრის სამინისტროს საერთო განყოფილება სასოფლის რესპუბლიკის ყველგ სახელმწიფო დაწესებულებებს, რათა სექტემბრის 10-მდე აუცილებლათ გადმოგზავნიონ საერთო განყოფილებას სიები მათდამი რწმუნებულ დაწესებულებაში მოსამსახურეების. სიებში ვარდა მოხელეთა სახელის, მამის სახელის, გვარის და ჯაბაგირის აღნუსხვისა, ნარჩევნები უნდა იყოს მათი დაბადების წელი და როდის დაუწყია მოხელეს სამსახური სახელმწიფო დაწესებულებაში. თფილისის დაწესებულებებმა ამ ცნობებს უნდა დაუმატონ მოხელეთა მისამართიც. ცნობები საქონლა სავენსიოა წესდების დასამუშავებლად. ცალკე მიმართებები სახელმწიფო დაწესებულებებს აღარ დავგზავნებთ.


ლექცია. სამშაბათს, 2 სექტემბრის საღამოს 7 ს. ამიერ კავკასიის კერძო უნივერსიტეტის შენობაში (რუსთაველის პრ. № 10) საბჭოთა რუსეთიდან ჩამოსული ნ. ათაბეგოვი ტუმასი წიაკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „აწმყო და მომავალი საბჭოთა რუსეთისა“.

საგაზოთა ცნობებიდან

(მთავრობის საყურადღებოთ). ამ ეხმად პრესაში ბევრი იწერება ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა დაწესებულებებთა მოუწყობლობაზე, ნაკლებ და სხვაზე, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ მთავრობა და პრესაც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ საბაჟოებს, ჯერჯერობით ამ ეთად-ერთ წყაროს ჩვენი ხაზინის შემოსავლისა; არა მოშიდველი იმისა, რომ ჩვენი საბაჟოები, როგორც სხვები, თავის თავათ მიიკოკლებენ, სათანადო მთავრობა არ აქცევენ მათ ჯეროვან ყურადღებას და მით მილიონობით ზარალი ეძლევა ჩვენს ისედაც ღარიბ ხაზინას. საქმე შემდეგ შია: ჩვენ ვიცით, რომ ყველა საბაჟოებში და განსაკუთრებით კი თფილისში მთავარ საბაჟოში აუარებელი დაქერილი კონტრაბანდი საქონელი აწყვიდა; მთავარ საბაჟოში ადგილიც არ არის, რომ კიდევ დააწყონ მოსალოდნელი დაქერილი საქონელი. უკვე დაქერილი საქონელი ლებეა, იუჭდება და თავისი ნამდვილი ფასის სა-მოცდა ათი პროცენტს ჰკარავს. აქ ისეთ საქონელს შეხვდებით, რომ შვიდი რვა თვეა აწყვიდა და გამკითხავი კაცი არ არის. საქმე გადაცემული აქვს გამოძიებულს, ვისი ვალდებულებაც არის საქმე გამოძი-ოს და თავისი დასკვნით სათანადო სა-სამართლოს დაუყოვნებლივ გადასცეს, მაგრამ გამოძიებელი, რის მოსაზრებით არ ვიცი, საქმეს არ იძიებს, საქონელი ფუჭდება და მით ხაზინას აუარებელი ზარალი მოსდის. ხშირათ დაქერილი საქონლის ბედი ერთი წლის შემდეგ წყდება, ე. ი. მაშინ, როდესაც საქონელი ან სრულიათ გაფუჭებულია, ან სანახევროთ მიჩნაც. ეს გაფუჭებული საქონელი უნდა, ვაიციდოს საჯარო ვაჭრობით და ნაწილი ხაზინამ უნდა წაი-ლოს, ხოლო ნაწილი დამკურღლები სასარგებლოთ მიდის. გაფუჭებული საქონლით ვინ რა უნდა ისარგებლოს? პირველათ ნადგურდება საქონლის მეპატრონე და ხაზინაც ვერაფერს სარგებლობს. ამისათვის საქონლა მთავრობამ მიიღოს შესაფერი ზომები, რათა გამოძიებელ-მა და სასამართლომ მეტი ყურადღებით მოეპუ-რას საბაჟოს მიერ დაქერილი საქონლების საქმეების დაბოლოვებას და ისე დაეფუჭებას არ აძლევდენ ასეთ საქმეებს, როგორც ამას ეხლა სწადინ.

ოლიგარქიული რეჟიმი

მე ვიყავ გიმნაზიის მეორე კლასის მოწაფე, როდესაც ვავიციანი ოლიგერ უოროდრობი. ეს იყო მისი პირველი ჩამოსვლა თფილისში. ერთ დღეს იმ ზაგშეთა პანსიონში მამადა-ვითის მოეგანზე, სადაც მე მქონდა ბინა, (ამ პანსიონის გამგებმა იყვენენ ლევან ვაჩნაძე და მწერალი პუბლიცისტი—ქალი ვ. შილოვსკაია) გახეთში წავიკითხეთ განცხადება, რომ ჩამოსული თფილისში ერთი ინგლისელი ექმს ინტელიგენტურ ოჯახს რუსულ ენის შესასწავლად. პანსიონის გამგებმა აცნობეს ინგლისელს თავისი პირობები და შეუთვალეს მისამართი. ამ მისამართით მომხმანდა უოროდროპი პანსიონში. ჩვენ ზაგშეთს არას დროს არ გვენახა ინგლისელი და ძალიან გვიინტერესებდა მისი მოსვლა. უოროდროპის მოსვლისთანავე ჩვენ ყველანი ოთახებიდან გამოვეციდით.



ჩვენ წინ წარმოსდგა მაღალი, გამხდარი კაცი, გრძელი კლავებით, მოგრძო ცხვირით, ფრიად სათნოოანი თვალებით.

ჩვენ, ბავშვები, ჯერ განზე დავდებთ და მოკრძალებით უცქერდით ინგლისელს.

მან ტკბილად გავვიღიმა. ამ დიმილიმ ჩვენ სწრაფად მოგვიყვინა და ინგლისელს შემოვხევიყვინა.

ჩვენ ყველამ მოწიწებით თავი დავუყარით, გულში სიამოვნება ვიგრძენით.

უმეტეს დროს უორდრობი ატარებდა პანსიონში. აღბათ, რუსული წინის შესასწავლად ხშირად ბავშვებში ტრინილებდა.

პანსიონში უფროსები და ბავშვები ვსადილობდით ერთ სუფრაზე.

მე გახლდით ნებიერი მწერალი ქალისა შიღლოვსკაიასი.

სადილობის დროს მის გვერდით ვიჯექე ჩემს პირდაპირ ადგილი დაიჭირა ოლივერ უორდრობმა.

აღბათ, ამ გარემოებამ მიატყია ჩემზე მისი ყურადღება და ერთხელ შეეკითხა შიღლოვსკაიასი ფრანგულად: „ვინაა ეს ბავშვი?“ პასუხათ მიღობ: „ეს ჩემი ნებიერია, პატარა თავაღი“.

ამ დღიდან მე უორდრობისა ცხვირით შევიკენე, დამიანოვდა. მძღვედა ინგლისურ ენაზე პატარა ჟურნალებს ზედ წარწერებით „ჩემ პატარა მეგობარ კოტეს“.

მე ინგლისურისა არა მესმოდა რა, მაგრამ მაინც მოწიწებით ვართმევდი და ვინახავდი. მესმოდა, რომ ეს საჩუქარი იყო დიდი ბრიტანეთის შვილისა. მაშინ ინგლისზე მქონდა ცოტა წარმოდგენა.

ჩვენ ბავშვებს გვაკვირვებდა უორდრობის ნიჭი: ორ თვეში ისე შეისწავლა რუსული ენა, რომ თავისუფლად ლაპარაკობდა. პანსიონში ბავშვები ყველა ქართველები ვიყავით.

რადგან უორდრობი ხშირად ჩვენთან ატარებდა დროს, ქართულიც ნელნელა შეისწავლა. რამდენიმე წელიწადი დაჰყო უორდრობმა ჩვენ პანსიონში. ზაფხულს ატარებდა კახეთში—ხან სიონში, ხან სოფ. ბაქურციხეში, ხან კარდანახში, ხან კაჭუეთში. ყველგან უორდრობი ნასიამოვნებით რჩებოდა. მოსწონდა მას კახეთის ბუნება, მისი მცხოვრებნი.

უყვარდა ცხენით გადასვლა ერთი სოფლიდან მეორეში, სადაც მას მემამულეთა ოჯახები გულხდით ხედებოდნენ, უმართავდნენ წვეულებებს.

ასე გაცნო უორდრობი საქართველოს სხვა კუთხეებსაც. უორდრობს შეუყვარდა ქართველები მათი გულახდილობით და გულწრფელობით, მოსწონდა ქართული ჩაცმულობა. ერთ დროს კიდევაც ატარა ჩერქესკა.

ასე თავის პირველ ჩამოსვლაზე საქართველოში, უორდრობი გაცნო ქართველთა გარეგნულ კულტურას, ზნე ჩვეულებას, ყოფაცხოვრებას და დამრწმუნა ლონდონში.

რამდენიმე წლის შემდეგ ოლივერ უორდრობი მეორეთ ეწვია საქართველოს უკვე თავის დით მისტრისს მარჯობით.

ამ დროს ის პანსიონი, სადაც უორდრობმა პირველთა შეისწავლა რუსული და ქართული, აღარ არსებობდა ძველი სახით. ქნ შიღლოვსკაიასთან დაკრძობით რამდენიმე უკვე მოზრდილი მოწიწები. ჩვენ გავკვირვებამ და სიამოვნებამ არ ჰქონდა საზღვარი, როდესაც უორდრობმა მოგვძებნა თავისი ძველი მეგობრები.

გავაცნო თავისი დიდი და გვთხოვა ხშირად მათთან გვევლო.

ჩვენ ხშირათ ვხედებოდით მათ ხან ქართულ თეატრში, სადაც დაძმა ხშირათ ესწრებოდნენ ქართულ წარმოდგენებს. მასსოცს კარგათ, ანტრაქტებში ჩვენნი ლოყა ვაიყვებოდა ქართველ საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლებით, ვინ ეცნობებოდა მათ, ვინ უკვე ნაცნობნი შემოდიოდა სამუსაიფოთ.

მით გააცნო ინგლისის საზოგადოებას ჩვენი დიდებული პოეტი ფილოსოფოსი. ვარდა ამისა, დაძმა კარგად გაცნენ ჩვენ წარსულ ისტორიას, ჩვენს კლასიკებს. ოლივერ უორდრობსაც აქვს თავისი ორიგინალური ნაწერები ინგლისურ ენაზე საქართველოს ცხოვრების შესახებ. ამავე ოლივერ უორდრობის მეოხებით დი ცდით დაარსდა ერთ-ერთი საუნივერსიტეტო ქალაქში, ახლა კარგათ არ მახსოვს, ლონდონში თუ კემბრიჯში, კათედრა ქართული ენისა. აი ეს მოსიყვარულე და კარგათ მკოდნე საქართველოსა, ოლივერ უორდრობი, უკვე მესამეთ ეწვია საქართველოს, მხოლოდ ამ ემათ არა მოხალისე სტუმრათ, არამედ უმადლესი დანიშნულებით და დავალებით,—ამიერ-კავკასიის უმადლეს კომისრათ.

კეთილი იყოს დიდი სტუმრის მოსვლა. ვიმედოვნებთ, რომ ის თფილი გრძნობა და სიყვარული, რომლითაც ყოველთვის აღვსილი იყო გული მისტრ ოლივერ უორდრობისა, დღეს გაორკვედება და გაღრმავდება საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი.

ქ. ანდრონიკაშვილი.

მოქალაქებს

ისმინეთ მოქალაქენო, მოსახლელი გაქვთ ვალები, ბრძოლის ველიდან შემორებს თქვენსკენ უჭირავთ თვალები.

თხრილებში იტანჯებიან ქვეყნის ერთგულნი შვილები, აქ დაუყრიათ ცოლ შვილი მშვიდრები, შიშველ ტიტვლები.

მტრის დაუნდობელ ტყვეისკენ მიუშვერიათ გულები, არ უდრკებიან გასაჭირს, ბრძოლაში გაკაქულები!

ქარხნებში მომუშავენი შორიდან ხელსა უწვიან, თითო დღის ნამუშევარსა სულთ და გულთ უძღვნიან.

ზურგს უმარგებენ მოძმებს, სამშობლოს საზღვრებს იცავენ, არ გაღებებიან განზედა—თავისუფლებას ჰფიცავენ!

ვინც დენიკინსა მოელის ბოროტია და მტერია, ან სულ არ იცის, რომ იგი საერთოდ ყველას მტერია.

თუ მტერმა ფრონტი დასძალა, ვეგლახი დატრიალდება, ქვეყნის სარჩო და ქონება განიავ-გატიალდება.

მაშ გავუწოდეთ ფრონტს ხელი, გაიღეთ თქვენი წვლილები, გადაარჩინეთ ქვეყანა, მამა, დედა და შვილები.

გასწით წინ შრომით მაშვარლნო, დაეცით კიენ-მკვეთრობა, არც უღალატოთ სამშობლოს, არც დაივიწყოთ ერთობა.

სალამი და გამარჯვება საქართველოს ერთგულ ჯარებს! სალამი და გამარჯვება შეერთებულ პროლეტარებს!

გიგო ხერხაშვილი.

სასარიფო კალსა

28 აგვისტოს შესდგა მორიგი სხდომა სატარიფო პალატისა. პირველად დაისვა საკითხი სამრეწველო დაწესებულებათა დაბეგვრის შესახებ. დაევალა პრეზიდენტს საქმე როდ დაამუშავოს მოხსენება სამრეწველო წარმოებათა დაბეგვრის შესახებ და საქართველო მოიწვიოს პალატის პლენუმში. შემდეგ პალატა გადავიდა ანდრეოლეტის ქარხანაში გაფიცვის განხილვაზე. მოსმინეს პალატის წევრის ქუთათელაძის მოხსენება, რომელიც გავზავნილი იყო ქარხანაზე კითხვის ადგილობრივ გამოსარკვევად. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ტარიფის გამომუშავების დროს პალატა სათანადოთ არ ყოფილა გარკვეული მუშათა მდგომარეობაში. მაგალითად ანგარიშობდნენ, რომ მუშები იღებენ სურსათს და ბინაც აქვთ, მაგრამ 90 პროც. მუშებისა ამით არ სარგებლობენ. მეპატრონე მხოლოდ ეხმარება მუშათა კოოპერატივს საგნების შესყიდვის დროს. როგორც მიზეზი გაფიცვისა მუშებმა დაასახლეს ავანსების გაუქმება სატარიფო პალატის ამ კითხვის გადაჭრამდე და კრამიტზე (კრამიტის და აფურის ქარხანა) თავის ნებით ფასების მომატება. პალატამ დაადგინა საკითხი არსებითად განხილვის ხელახლად, როცა კი მუშები დაიწყებენ მუშაობას. ეს შეატყობინეს იქ მყოფ მუშების წარმომადგენლებს და ანდრეოლეტის ქარხნის ადმინი-

სტრაციას. ამის შემდეგ რჩეოდა მორიგი საკითხები ტარიფების შესახებ

რადგანაც ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირის მოსამსახურენი კარგ ჯამაგირს იღებენ და არავითარი მოთხოვნები არ არის წამოყენებული, პალატამ დაამტკიცა მათი ეხლანდელი ჯამაგირი, როგორც ტარიფი.

კუსტარული კომიტეტის მუშებისათვის განისაზღვრა დღიური ხელფასი 44 მან. თფილისის ქიმიურ ქარხნის მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, პალატამ საქიროდ სცნო მუშებს მომატებოდათ 35 პროც. ბუღალტერი მიიღებს 2000 მ., მუშები მიიღებენ დღეში 43—48 მ.30—35 მ. მაგიერ.

პურზე მომუშავეებს, რომლებიც იღებენ სურსათს და ხშირად ოთახსაც, ვადანწყუდა მიემატოს 23 პროც. მაქსიმუმი 985 მან. მიწიშეში 500 მან.

კითხვა ეროვნული მამულების მუშების შესახებ გადაიღო მიწადმოქმედების სამინისტროს წარმომადგენლს მოხსენებამდე.

მას შემდეგ რაც პალატამ გადაწყვიტა, რომ თუთუნის ფაბრიკებში მოსამსახურეთ მიმატებოდათ 25 პროც., მოხდა შეთანხმება მწარმოებლებს შორის 50 პროც. მომატების შესახებ, რაც მწარმოებლებს უკვე მიუციათ. სცნო რა ეს მოვლენა შეუწყნარებლად, პრეზიდენტის წინადადებით პალატამ კვლავ დაადასტურა თავის გარდაწყვეტილება 25 პროც. მომატების შესახებ და დაადგინა, რომ მოსამსახურეთა მიერ უკვე მიღებულ 25 პროც. მათ გამოაკლებათ და გადაირიცხებოდა სასურსათო ფონდში.

შემდეგ შიდა, სანამ ახალი ტარიფი დამტკიცდებოდა, მწარმოებლებმა ეს 25 პროც., რომელიც მათ მოუმატეს წინააღმდეგ სატარიფო პალატის დადგენილებისა, უნდა შეიტანონ ხელხანაში ტარიფის დამატებითი შეცვლა მოხდა. სატყუო განყოფილების მუშები ადმინისტრაციის ნებართვით გადაყვანილ იქნენ ნარდ სამუშაოდან დღიურზე. შემოღებულ იქნა განსაზღვრულ იდრო. თუ ამ განყოფილებაში მუშაობა შენერდა, მუშებმა უნდა იმუშაონ სხვა განყოფილებაში. 10 მანეთის პულის მომატება, რომელსაც მეჩქეებები იღებდნენ, შეტანილ იქნა ნარდი სამუშაოს ქირაში, რომელიც გადიდა 6 მანეთით წყველზე.

აუთიამქებში მოსამსახურეთა საერთო კრებაში პროტესტით მიმართა პალატას მის მიერ გადაწყვეტილ ტარიფის გამო. საერთო კრება მოითხოვს 35 პროც. მომატებას ყველასთვის და აცხადებს, რომ თუ მათი მოთხოვნა უყურადღებოდ იქნა დატოვებული, ისინი იტოვებენ უფლებას თავისუფლად იმოქმედონ.

პრეზიდენტის წინადადებით პალატამ დაადგინა დანტროვის პროტესტი უშედეგოდ. ფაბრიკანტებსა და მექარხნეების საზოგადოების წარმომადგენელმა ხანდაზოგმა ამცნო პალატას, რომ სურსათის მოწოდების საკითხი აღნიშნულ საზ-ში ირჩეოდა. წინადადება მიიღეს. არჩულ იქნას პარიტეტული კომისია შესყიდვის გეგმის მოსაწყობად. როცა მოეწყობა ეს კომისია, მოწვეულ იქნება საზოგადოების საერთო კრება გადასახადის კითხვის გასარკვევად. პალატის წევრი შ. აბდუშელიშვილი ცნობს პროფ. კავშირთა საბჭოს გადაწყვეტილებას. პალატამ დაადგინა აირჩიოს შემთანხმებელი კომისია. მწარმოებელთა სექციიდან შევლენ: ენფინჯიანცი, ხანდანოვი, კარლინსკი და საქართველოს საგაქრო სამრეწველო დეპუტატების საბჭოს წარმომადგენლები. მუშათა სექციას თავის წარმომადგენლები ჯერ არ დაუნიშნავს.

ქავთარაძის თუთუნის ფაბრიკა ქუთაისში. ფაბრიკის პატრონი აცუობინებს პალატას, რომ მის მიერ მიღებულ მომატებას 30—50 პროც. ფაბრიკა ვერ აიტანსო. პალატამ დაადგინა ეს საკითხი ხელმეორედ განხილვის, როცა პალატის სესია ქუთაისს გაემგზავრება. მანამდე კი დარჩეს 30 პროც. მომატება.

პრეზიდენტმა შეატყობინა პალატას, რომ საჭიროებოდა მიხედვით იქნება მოძრავი სესიები პალატისა. სიაც ჩავა სესია სატარიფო პალატისა, იგი შეგებულ იქნება ხოლმე ადგილობრივ ორივე მხარეთა წარმომადგენლებით.

უცხოეთი

შოგინისტების მუშაობა.

30 ივლისის „პუშმანიტე“ ში მოყვანილია შემდეგი ფაქტი: საფრანგეთის მუნციპალურ უკოლებში წელს საჩუქრად ურიგებენ წიგნაკებს, რომლებთაც სათაურად აქვს „სამეფროვანი სამოთხე“. ამ წიგნაკებში, რომლებიც ბავშვებისთვის არის დანიშნული, ნათქვამია: აღსკვნა ისეთია, რომ ჩვენ უნდა ვსთხოვოთ დემოკრატის ფრანგების გამარჯვება, რადგანაც, თუ ბოშები (ასე ეძახიან გერმანელებს) მოვიდნენ, ისინი ჩვენ დაგვოცავენ. ბოშები

ისეთი ხალხი არაა, როგორც ჩვენ. ისინი ლობობია“.

ჩვენი რკინის გზის სადგურებზე კიდევ მარა ვალ ბოროტმოქმედებს აქვს ადგილი, რაც, შემვილია, შეუშინველი რჩება რკინის გზის ადმინისტრაციისათვის.

მე აქ გვულისხმობ მხოლოდ იმ ბოროტმოქმედებს, რომელსაც საზოგადოების ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში გადატანასთან აქვს კავშირი.

ყველას მოეხსენება, რომ დასავლეთ საქართველოდან თფილისში სიმინდის ფქვილის შემოტანა აღკრძალულია ნ ფუთზე მეტის, რომლის წამოღების უფლება ყველა მგზავრს ეძლევა, თუ ის ამისათვის თფილისამდე სამგზავრო ბილეთს წარადგენს.

ეს გარემოება ზოგიერთი სადგურის უფროსებმა თავისი მოვების წყაროთ გამოიყენეს: ისინი ყველა სპეკულიანტს და არასპეკულიანტს ნებას აძლევდნენ გავზავნათ თფილისში ათი და ოცი ხუთფუთიანი ცალკობით სიმინდის ფქვილი, მხოლოდ ამისათვის გამზავნის ახლენიებდნენ იმდენი პლაცკარტიანი ბილეთის ღირებულებას, რამდენი ნ ფუთიანი ცალიც იყო გასაგზავნი. მაგრამ ბოროტება სწორეთ იმაში მდგომარეობდა, რომ ნაყიდ ბილეთებს სადგურის უფროსი თვითონ იტოვებდა და რასაკვირველია ასეთებს და პლაცკარტებს ხელმეორედ ყიდდა, მხოლოდ გამზავნის აძლევდა ერთს ან ორ ნაყიდ ბილეთს და იმასაც უღალატკაროთ. ასეთი სამარცხვინო საქმეს თითქმის საჯაროთ სჩადიოდნენ სადგურ კოპიტნარში, სადაც სადგურის უფროსი და მისი თანამუშეუ პატარა ფუფს არ აკეთებდნენ ივლისის განმავლობაში. ეს მეტათ კარგათ იციან არა თუ მარტო საჩინოელები ემბრაილებმა, რომლებიც ბოლო დროს სიმინდისავე ვაჭრობდნენ, არამედ თითქმის ყველა ადგილობრივ საზოგადოების წევრმა. სწორეთ რალაც წარმოუდგენელი, ცინიკური უსინდისობის და აშკარა, დაუფრავი ბოროტმოქმედების ვაჭახანალია ტრიალებდა ამ პატარა სადგურზე ზაფხულის განმავლობაში.

თუ ამ ბოროტმოქმედებს ყურადღება არ მიექცა და ახლავე არ იქნა სასტიკათ გამოძიებული, ეს კიდევ მეტ სითამამეს შემატებს რკინის გზის „გმირებს“ და ამით უფრო მეტი დაშავდება.

საჩინოელი.

შინაგარეველობა

შინამრეწველობის ინსტრ. მ-ნი ქლენტი მხნეთი ეკიდება დაქირებულ მოვალეობის შესრულებას, თავისი აზრი მას ხშირად გამოაქვს ჟერთობის“ ფურცელზე. 194 ნომერშიაც მოუწოდებს ერობებს და სხვებს მიიწოდონ ხსენებული დარგის შესახებ ცნობები. ამის გამო მეც მსურს ცოტა რამ ვთქვა. მანუფაქტურის კრიზისიდან ჩვენებურმა შინამრეწველობამ დაგვიხსნა. ჩვენებური შალი, არამც თუ შინ გვეყო, არამედ რუსეთშიაც გავიტანეთ (პურზე გადაიყვალა), 2-ნ ქლენტის შენიშვნის არ იყოს, შლის ბაზარმა შინამრეწველობის მიმდევრები გაამრავლა, მაგალითად გურიაში იშვითთა უკვე სოფელი, საცა ახლად შეძენილი 4—10 საქსივი დაზგას არ ამუშავენდნენ გურული ქალები, საქსოვის შემქენის მსურველი ძლიერ ბევრია. მაუხედვით იმისა, რომ იმისი ფასი 1000 მანეთს აღემატება, მაინც ბევრი მეცადინეობს შეიძინოს, მაგრამ შეძენა სჭირს.

მუშა ხელის საზღაპრო გაძვირების გამო, ცხადია, ქარხნული მრეწველობა დიდხანს ვერ მოიკიდებს ფეხს, ამიტომ დიდათ სასურველია ერობებმა ხელი შეუწყონ შინა მრეწველობის აღორძინებას. გურიის ერობამ ეს უკვე გაითვალისწინა და გადასწყვიტა ფართოდ დააყენოს ერობის სახელოსნო-სადურგლო. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რაც უნდა დიდი სადურგლო მოეწყოს, მარტო ოზურგეთის სახელოსნო მთელ გურიას ვერ დააკმაყოფილებს, ამიტომ მისი განყოფილება აუცილებლად უნდა გაიხსნას ქ. ლანჩხუთში. სხვა საზარო ერობებმაც უნდა მოეწყოს მსგავსი სახელოსნოები ასეთი სადურგლო დაამზადებს და შელავითიან ფასებში გაავრცელებს, როგორც საქსოვ ამოსახვევ დაზგებს, აგრეთვე აბრეშუმის ქვის აღსაზრდელ დგამჩაფურებს. იგივე სახელოსნო მოამზადებს ჩარჩოიან სკებს (ბუკებს). ამავე დროს სახელოსნო ერთგვარი პრაქტიკული სახელოსნო სკოლა იქნება, მცხოვრებთათვის დიდათ სასარგებლო. მსურველს უნდა შეეძლოს ერობის სახელოსნოში მოიტრანოს თავისი მასალა და იქ შეატაროს ხელმძღვანელობით თათის ხელით გააკეთოს თავისთვის საჭირო სკა იქნება თუ საქსოვ-ამოსახვევი დაზგა.

აბ. წულაძე

